

## სხვათა სიყვავის მართლდების საკითხები

ქართულ ენაში არის ნაწილაკები **მეთქი**, **-თქო** || **-თქვა** და **-ო**. ეს ნაწილაკები გამოხატავენ პირველი პირის (მოსაუბრის) ან სხვა პირის (ორმოსაუბრის) ნათქვამის ან განაზრახვის უცვლელად განმეორებას. ერთ-ერთი ამ ნაწილაკის შემცველი წინადადება სხვათა სიტყვის სახელწოდებითაა ენობილა.

ა) **მეთქი** ნაწილაკი ნთელი წინადადება წარმოშობით (მე ვაქვო) და იხმარება პირველი პირის (მოსაუბრის) წინათ ნათქვამის ან განაზრახვის განმეორებით გადმოსაცემად.

### მაგალიტები:

მე ვუთხარი: (ყოფთ არ არის, თლილინი ცხენი დაეიბას, ზურგზე წყალ მაინ) ვადაიღუდა-მეთქი; რომ წახდა ცხენი; ან ზურგის ქვეა იარაღა, ან ღებში და-რხეთა-მეთქი? (ილია).

ხშირად დავუთხებოდი ხალხს: რა დავუთხა კრებმა პირს, რომ წაწილეს სტატუსი და არ ასვენებ-მეთქი? (აკაკი).

გიორგის: და ქორსაც მე ვაიტიკა-მეთქი. — ეუბანსებ სიცილით (აკაკი).

აქი მოკახსნეთ, აქვკავს ურბები გილიტებზე და, რაწიასაც ჩამოვლეს, მაშინვე მოკარობე-მეთქი? (ილია).

აქი მოკახსნეთ, ვადაიღილუბა-მეთქი სამეყნიერია სტატუსი გივებსა! (ილია).

მე კიდევ ვუთხარი: ჩემს ძაღლს, წაიღი-მეთქი... ერთი შევიტოოთ, რა იშ-ბაგია-მეთქი (ილია).

მე სატყვა მოუტყერი კიდევ: ნახეარო ჩემს ობლებმა-მეთქი (ილია).

ბ) **თქო** || **თქვა** ნაწილაკი იხმარება მეორე პირის მიმართ, როდესაც პირველი პირი (მოსაუბრე) თავის ნათქვამს მას აბარებს მესამე პირისათვის გადასაცემად.

### მაგალიტები:

უთხარი შენს ქმარს: მეც დიდახვდ ენახელე, დამართა მიწყალე-თქო, ველანი მშვიდობით ვაწვებთ-თქო (ილია).

უთხარი, რომ, რაცა პეტიო კუღწოდა-თქო, შენა გლოცადე-თქო (ილია).

მე იმერელ... იცი, რა ვუთხარი?, იმერელსაც უთხარი, რომ, რაც თქვენ კრიკინას წუქის ვაბოლუდა, ებო ვლამად\* არ მეყოფი-თქო და კელუბი\* კი კლდე იტყნხიდ დარბევა-თქო (ილია).

წადი, ბიკოლას მთახსრე... ნუ გეშინია, უთხარი, კოორტი ვახლით-თქო (ნ. ლორთქ.).

შალკიათის ვადარბიხე, ვარლამო, და უთხარი: დედა შემოგვხეწა-თქვა, აქო მადაკია. ეს ერთი დიკი ტყისო გამომიჯნე-თქვა და მე ვიცი შენი პატრის-ცემა-თქვა... ჩემო შალკიათ-თქვა, ძალიან შემოგვხეწა დედა-თქვა (დ. კალა).

იხვევ ნაწილაკია გამოყენებულნი ამ შემთხვევაშიც, როცა პირველი პირი (მოსაუბრე) მეორე პირს ავალუბს რაიმე უთხრას მასვე, მოსაუბრეს.

### მაგალითები:

რადას მაწვალე, შე დალოცვილო, ავრე მეტყუდი, რომ შენი არ არის-თქო (ილია).

გ) -ო ნაწილაკით გადმოიციემა მესამე პირის ნათქვამში.

### მაგალითები:

მოწამე გაყავსო?—კეითხეს მოგამაგირეს (ილია).

ბრანებაა—ოცდახუთი მანეთი წაერთოს და ორმოცდაათი როზგი დაეკრას იმასო, ვინც თავის ნაბატონარს ღღვის იქით ბატონს დაუძახებსო (ილია).

ჩაი უნდა მიიბოთოთო,—მიპასუხა სტანციის გუშაგმა (ილია).

ვინა სთქვა—გლებმა ჩვენზედ გული აიყარაო (ილია).

იტყოდა: მაგდონი არაფერი ხანიაო გასული (ილია).

შენ მეფობა ვინ მოგაკაო,—უთხრა მან არწივს,—ჩვენ როდის ამოვირჩიეთო? (ვჟა).

ამბობდა ყველა: ეს რა ამბავია, რამ გააწყო ჩიტები, რომ ერთის ხმა აღარსაიდან ისმისო? (ვჟა).

ზაფხულობით კატას არ დააყენებდა სახლში, ბიქს შორს წააყენებდა, გააშვებინებდა, სხვისასაც არ გააჰაჰებებდა თავის ეზოში: ბულბულებსა სჰამენ შეჩვენებულნიო (ვჟა).

შენაო, რადგანაც მებატონე ხარო და კეთილშობილიო, გლებთან წინ არ უნდა წამოდგეო, გლებთან პირში ბურთი უნდა გედოსო; თუ ხმას ამოიღებო, კრძალვითა და შიშით უნდა ამოიღოვო. არ უნდა უჩივლო გლებსაო. თქვენთვის ეხლა სამართლის კარი დახშულიაო. რაც არიან ეხლა, გლებები არიანო, მე თქვენს საჩივარს ყურასაც არ ვათხოვებო, ბატონყმობა: გადავარდო და თქვენ ვილა ყრიხართო (ილია).

განსაკუთრებით ხშირადაა გამოყენებული -ო ნაწილაკი ანდაზებსა და თითქოს ნაწილაკიან წინადადებებში.

### მაგალითები:

ზედაური ცხენი მათრახს აო დაიკრავსო (ანდაზა).

ახალი ცოცი კარგად გვისო (ანდაზა).

ასწიე ღონესა ჰქვია, დასწიე—უღონობასაო (ანდაზა).

თითქო ალაღმა დაჰქროლა წიწილებსაო (ილია).

ეგვევე -ო ნაწილაკი იხმარება იმ შემთხვევაშიც, როცა მეორე პირის მიერ მესამე ან პირველი პირისათვის წინათ ნათქვამის ან მეორე პირის განაზრახვის განმეორება ხდება.

### მაგალითები:

თქვენ კი მიბძანეთ, გლებთან სიტყვა ფრთხილად იხმარეო (ილია).

შენ ერთხელ მეტყვი, „მითხარო“, მე ასკერ გეტყვი „ვერასა“ („ვეფხისტყაოსანი“, 235).

ზემოაღნიშნული ნაწილაკები სალიტერატურო ქართულში ზეპირი მეტყველებიდან ჩანს შემოსული. ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ამ ნაწილაკთა ხმარების თითო-ორიოლა შემთხვევაა მხოლოდ აღნიშნული. საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი ეს ნაწილაკები უკვე „ვეფხისტყაოსანში“, ხოლო XVII—XVIII საუკუნეების ლიტერატურულ ძეგლებში, განსაკუთრებით „რუსულდანიანსა“ და დავით გურამიშვილის ნაწერებში, მეტად ფართო გასაქანი ეძლევა მათ.

### მაგალითები „ვეფხისტყაოსნიდან“:

აღმოსავლეთით წადიო, პირსა იარე ზღვისასა (947).

ეხეწებოდა: „შეჯეო“, აჯას ხვეწითა არეებდა (894).

კვლა პირზე ვტყვის ვაზირსა: „მე სიტყვა შევამცირეო,

წა, ესე ჰკადრე მეფესა, შე-უინ-ვიღოდეს ვირეო;

მიაჩე ამოდ ვაშვება და თავი ვაიგმირეო,

ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო“ (741).

შერმანდინსცა ახარებდეს, ფიცხლად თავნი მისკენ არნეს;

„მოვიღაო, აქანამდის ვისთვის ღვინი გავვემწარნეს“ (673).  
 მოვიდა კაცი: „სასიძო მოვაო“, მოსლა გვახარა (548).  
 ახლოს მივე, შემომხედეს, „შმაგიაო“, ესე თქვესა (446).  
 „მონააო ასმათისი“, საწოლს ვუთხარ შემოყვანა.  
 მოეწერა: „გიბრძანებსო“, ვისი მესვა გულსა დანა (392).  
 ბრძანა: „მინდორს შევქდებო“, ლაშქარიცა დაერაზმა (170).  
 კვლავ უბრძანა: „თავსა ჩემსა, რას იტინი, რად დამგმეო?“  
 ყმაშან ჰკადრა: „მოგახსენებ და ფარმანი მიმოძეო,  
 რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გაპრისხედ, არ გასწყურეო,  
 არ გამბალო კადნიერად, არ ამიკლო ამაზეო“ (65).  
 „ნეტარ რა უმძიშს, რა სკირსო“, შექმნეს ამისი ცილობა (56).  
 „იარვა ჰქმნეო“, —დაუშალა, წყალობანი უიმედნა (61).  
 მეფემან ბრძანა: „ენახეო მიზეზი ღვინთა ღვეისა“ (98).  
 ახარებდეს: „წაოჯდაო“, დედოფალი გამოარბოდა (355).  
 მაშინდა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალთა.  
 აქონებ ჩემი სიყვდილი, იყავ მართ ვითა მთრვალთა,  
 მიხვდა-თქო საქმე, რომელი ყოვლთათვის გარდუვალთა (158).

განსაკუთრებით უხვ მასალას იძლევა ამ შქრივე „რუსულდანიანი“.

### მაგალითები:

მან უბრძანა: დღეს ხელმწიფეს ვერ შევეცილებო. მან დღეამთ მეფის ასულმან ვგრე მოახსენა: ხელმწიფისა რა შეცილება იქნებაო, თქვენ თქვენსა სახლსა მიბრძანდით და მეუფე თავისსა მივაო. მე ჯიმშედ მიბძანა: ჟერ ეს ენახოთო, როგორიო, თუ ეს არ მომეწონებაო, ის მის უარესი იქნებაო, ცუდად არ გაეირაჩებო.  
 აგრე ბძანა: ამალამ არა ვაეწყობა რაო და სახვლიოდ მე ქალს მოვამზადებო და თქვენ ვებირი მოამზადებო და ქალსაც გაჩვენებო და ქორწილიც უყავითო.  
 თურმე დედოფალმან სიზმარი ნახა, რომ ამ ხეს სამყერ შემოუარეო და სამყერ თაყვანი ეცო და კარი გაიღებო. ერთი მნათობი ქალი გამოვაო, ის შენთვის მშვევა სარგებელიო.  
 დღეამთ მეფის ასულმან მოახსენა: არ ხელმწიფის საფერი საქურბლენი და ხაზინანი არიანო, მაგრამ მაშინც თავისთა ღმით ნაშობესა აგრე არ ზოიძულებსო, რომელ ცუდთა კაცთა დანაწოსო და ანუ უსალახავად დავუკაროსო. ნახოს ხელმწიფემან, თვისნი ბეჭენი დასხნასო, რომე სხვათა კაცთა ცნან, პატრონი ჰყაო.  
 რა ეს მისგან მოვისმინე, გულსა ჩემსა ვგრე უთხარ: თუ ეს ანბავი მართალია, ამის უყოფისსა რას ენახავ-მეთქი და ანუ ამისთანას რას ვაამებ ჩემთა მშობელთა-მეთქი, რომ ასეთის ჭრისტიანის ხელმწიფის თვალთ ნახული ანბავი უანბო-მეთქი.  
 მოვახსენე: უწიგნოდ ვერსად წახვალ, თავად მომკლავს და, თუ არ მომკლავს, არ დამიყვრებს-მეთქი.

XIX საუკუნის სალიტერატურო ენაში დაახლოებით ისეთი სახე მიიღო ამ ნაწილაკების ხმარებამ, როგორც ზემოთ იყო წარმოდგენილი. -მეთქი, -თქო || თქვა, -ო ნაწილაკები წინადადების ყველა წევრს შეიძლება დაერთოს, მაგრამ ჩვეულებრივ ნაწილაკი შემასმენელს ერთვის; რთული წინადადების შემადგენლობაში იგი ყოველ შემადგენელ წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს; სტილისტიკური მოთხოვნილების შესაბამისად იგი წინადადების სხვა წევრებსაც შეიძლება დაერთოს და ერთისა და იმავე წინადადების ფარგლებში განმეორდეს კიდევ (იხ. მაგალითები ზემოთ).

ნაწილაკიან წევრი ჩვეულებრივ წინადადების ბოლოშია (მარტივ წინადადებაში, რთული წინადადების შემადგენლობაში შემავალ მარტივ წინადადებებში...) ან წინადადების ბოლოსაც და შეგნითაც ერთად (ერთგვარშემასმენლებიან წინადადებაში). წინადადების ბოლოს დასმული ნაწილაკიან წევრი უფრო ხშირად შე-

მასმენელთა, მაგრამ წინადადების ბოლოს ნაწილაკი სხვა წევრებსაც შეიძლება დაერთოს, წინადადების შიგნით კი ნაწილაკი ჩვეულებრივ მხოლოდ შემასმენელს დაერთვის, საერთოდ იმ წევრს, რომელსაც საპრედიკაციო მნიშვნელობა აქვს.

#### მაგალითები:

გასისარჩე და ირჩინე თავით... ვირჩებოდი და უტკივარ ლუქმას ვქამდიო (ილია).  
პატრესაცემი დედაცაცაო ეს ოთარანთ ჭკრივი,—ხშირად უთქვამთ დასაცა და ძმაცა (ილია).

ამობზნენ გლუხაკები: ბარს დაქრავს, ასე გვონია, დედაშიწა უნდა შუაგულამდე ჩაანგრისო (ილია).

აკა მოვახუნეთ, გავიადვილებთ-მეთქი სანეწიერო სიტყვის გაკებას! (ილია).

რა დროს შევახმვაო ცხენისა? (ქ. გამს.).

ჩენი გადავლახავთო შენს მაგივრად არავს (ქ. გამს.).

ანდაზებში ნაწილაკიანი წევრი ჩვეულებრივ ბოლოსა დასმული.

ნაწილაკები ჩვეულებრივ ერთხელაა გამოყენებული წინადადებაში.

#### მაგალითები:

ხშირად დავეციოხებოდი ხოლმე ძიძას: რა დაუშავა კრუხმა ქორს, რომ წიწილებს სტაცებს და არ ასენუნებს-მეთქი? (აკაკი).

მე სიტყვა მოვუჭერი კიდეც: ნახევარი ჩემი ობლებისა-მეთქი (ილია).

ამობზა ყველა. ეს რა ამბავია, რამ გააწყო ჩიტები, რომ ერთის ხმა აღარსად ისმისო (ვაჟა).

მაგრამ (განსაკუთრებით რთულ და ერთგვარწევრებიან წინადადებებში) იგი შეიძლება რამდენჯერმე იყოს გამოყენებული.

#### მაგალითები:

ასე რომ შენაო, რადგანაც მებატონე ხარო და კეთილშობილიო, გლებთან წინ არ უნდა წამოდგეო (ილია).

ხმელ წიფლის ძირს. კლდეში, ვეფხი დაბუდებულაო,—ხმა ისმის სოველში,—ლექ-ვეები დაუყრიო. მონადირეებს ენახათ ხმელ წიფლის გარშემო დედა ვეფხის და იმის ლკეპვის კვალიო (ვაჟა).

რატუ არ დაქველეთ თვის თავსაო? სად დაქარგეთ ი კაცი, რატუ არ მოსქენითაო? (ვაჟა).

მითხრა: ასეთი ალაგით მოველო, რომ, ჭკეყანა დამივილიაო, არც იმის უყუარესი ქალაქი მინახავსო და არც იმისთანა ხელმწიფე ამბად მსმენიაო, ქრისტიანე ხელმწიფე არიო და ხელმწიფისა ქრისტიანობასა გონება კაცისა არ მისწიდებო. ქალაქს უფილის ქალაქი ჰქვიანო და ხელმწიფისა სახელი ნუშრკევან არისო (რუსუდ.).

დღამთ მიფის ასულმა ევრე მიიხარაო: გინ იცის, ხელმწიფემ აქეთ შესვლა მოინდომოს, დაუშალო, თორემ ხმა დაკარდებო და სულ ვაცუდდებო ეს ქალაქი და ეს სასახლეო, რა ყველა იმის ანბავს სცნოსო, რაღას ევარგებო! აწ მე აქათვე წავალ, თქვენ ვე კარი ისევ დაკლიტეო, კლიტე თან წაიღეო და სასახლეში მიდიო, მეც იქ მოვლო, ვეშობ, სულ ამ ქალაქად ის დირდეს, რა კლდე ნახოო (რუსუდ.).

მალაქისთან გადირბინე, ვარლამია, და უთხარი: დედა შემოგვხეწა-თქვა, ჩემო მალაქია. ეს ერთი დოქი ღვინო გამომიგზავნე-თქვა და მე ვიცი შენი პატრიცისევა-თქვა... ჩემო მალაქია-თქვა, ძალიან შემოგვხეწეო დედა-თქვა (დ. კლდ.).

უმეტეს შემთხვევაში ნაწილაკის განმეორება გარკვეულ სტილისტიკურ ხერხს წარმოადგენს პერსონაჟის მეტყველების დასახასიათებლად.

სხვათა სიტყვის ნაწილაკთა ხმარებასა და მართლწერაში ერთგვარობა დაცული არაა.

ა) ზოგი მწერალი (აკაკი წერეთელი, დ. კლიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და ზოგიც სხვა) -თქო (II-თქვა) ნაწილას იმერული კილოს გავლენით პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად იყენებს.

#### მაგალითები:

მასპინძელს ვეტყვი, მიზეზს გავაგებინებ—საქმე გვაქვს, უსათუოდ ხვალ აღრიანად წამავალი ვართ-თქვა, ძალიან საჭირო საქმეზედ-თქვა... შენი პატივისცემაც მინდობდა-თქვა და ამასთან დაშორებაც არ შემეძლო-თქვა და ამისთანები (დ. კლდ.).

ღმერთს ვეხვეწებოდი: ღმერთო, სტუმრებს ნუ გამოგვილევე-თქო (აკაკი). მე გიმნაზიაში მიმჩქარებოდა და დავიბარე შინ: რომ დაებრუნდები, ფოსტიდახ გამოვიტან-თქო (აკაკი).

სახლში მაქვს დაბარებული: უსათუოდ მოვალ ამადამ-თქვა (დ. კლდ.).

მე მადლი მოვახსენე და სიცილით ვუთხარი: დღეს კიდევ გადავრჩი-თქო (აკაკი).

ნუ მომეშალოს ამისთანა მეხი-თქო—გავივლე გულში (აკაკი).

ახლა-კი მშვიდობით-თქო—ვუთხარი და გახარებული დაებრუნდი პეტერბურგში (აკაკი).

ბიჭო, რო გეუბნებოდი, მზეთუნახავს ვნახავთ-თქვა, სწორედ იმ გზაზე გავივლით— ვინ მზეთუნახავია, რას ბოდავ? — ა, რო გეუბნებოდი, მივებაროთ-თქვა (ნ. ლორთქ.).

შეგონა, მცდის-თქვა (დ. კლდ.).

ათასჯერ მითხრობია შენთვის: ნუ ხარ ლენჩი-თქვა, ნუ ხარ დავლახაკაეული-თქვა (დ. კლდ.).

ვიფიქრე—დაიმტკრევა-თქვა, მარა შენც არ მომიკადე. წელი არ გაუხრია (ნ. ლორთქ.).

[ანას] შევხებეწე: ...ერთი მტვეანი მეც მომიწყვიტე-თქო (აკაკი).

ბ) ვაჟა-ფშაველა პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად -ო ნაწილას იყენებს ფშაური კილოს გავლენით.

#### მაგალითები:

ირემი მოვარდა გაჩქარებით, დაეწაფა ჩემს წმინდა წყალს, დალია და გაძღა. მაშინ გულდამშვიდებულმა ვსთქვი: არა ვარ გამშრალი, არაო.

თბილად დაგვაწვინა, მაგრამ კიდევ ჩემი ნაბადიც დაგებურე ლევანს, არ შესცივდესო. დაითხიე აქითაო—ვუთხარი,—განაგაძრო ღარეჯანმა.

მემგრე დავფიქრდი: როგორღა იტირებს ჩემი შვილი, მიწაში ჩამაღალაო. შევხებეწე ჩემის მამის სალოცავთა: დამასვენეთო.

ვიფიქრე: ე ჩამოსადნობი, რას უწევარ ამაში? მე აქა ვწვევარ მშრალად და ეს ამოდენა ნიღვარი ჩემს შვილს გადასდის თავზედაო.

-ო ნაწილას გამოყენება პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად ამჟამად უნდა დაფასებულ იქნეს როგორც დიალექტური მოვლენა, მაგრამ ძველად იგი სალიტერატურო ქართულისათვის იყო დამახასიათებელი „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს ადის მაგალითი:

„მონაო ასმათისი“, შემოყვანა ვუთხარ შინა,  
გულსა შინა დაეუზრახე: „რა მპოვაო ანუ ვინა?“ (363).

#### „რუსულანინში“:

მე ვერე მოვახსენე: მე არა და, ძმაცა მყვანდეს და ანუ შვილი, ივაცა არა ღირსა ეგოდენს თქვენს სარჯელსა-მეთქი. ვინა ჩემის ლხინის გაგრძელებას თქვენთა მშობელთა გახარება სჯობსო და თქვენი და იმათი ერთვან შეყრაო.

მოვახსენე: ამის მეტი არა უნდა რაო, მაგრამ ეს მულაპანა არიო, რომ ამისმა პატრონმა ამისი ხმარება არ იცოდეს-მეთქი.

გ) -მეთქი და -თქო II-თქვა ნაწილას იყენებს ზოგჯერ წინადადების წვერთან ერთად (შერწყმულად), ზოგჯერ ცალკე, ზოგჯერაც ეს ნაწილას წინადა-

დების წევრისაგან დეფისითა გამოყოფილა. -**ი** ნაწილაკი თითქმის ყოველთვის წინადადების წევრთან ერთად იწერება.

დ) სხვათა სიტყვის ბრჭყალებშიაც სვამენ და უბრჭყალებოდაც წერენ. ბრჭყალების ხმარების შემთხვევაშიც სწავლასწავლავარი დაწერილობა გვხვდება:

„მოვიდა-მეთქი“,

„მოვიდა“-მეთქი,

„მოვიდა-თქო“,

„მოვიდა“-თქო,

„მოვიდაო“,

„მოვიდა“-ო.

-**ი** ნაწილაკს წინადადების წევრისაგან დეფისით მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოყოფენ.

ე) -**თქო** და -**თქვა** პარალელური ფორმებისაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა დატოვებულ იქნეს მხოლოდ ერთი ფორმა.

ვ) მრავლობით რიცხვში ჩვეულებრივ იგივე ნაწილაკება გამოყენებულია, რაც მხოლოდობით რიცხვში გვხვდება. ერთადერთ გამოწაკლას ამ შემთხვევაში წარმოადგენს -**მეთქი** ნაწილაკის ხმარება. მისი გამოყენება მრავლობითი რიცხვის ფორმებთან გარკვეულ უხერხულობას ქმნის და ამის გამო არც გვხვდება. ამის საფუძველი ის ფაქტი უნდა იყოს, რომ -**მეთქი** ნაწილაკის ეტიმოლოგია ნათელია: ზოგიერთ კოლოში „**ვ ვთქვი**“ ფორმაც კი იხმარება. შდრ.: მე აღვნიშნე: ავტორის ეს მოსაზრება შემცდარი არის -**მეთქი**; ჩვენ აღვნიშნეთ: ავტორის ეს მოსაზრება შემცდარი არის-**მეთქი**.

-**მეთქი** ნაწილაკის გამოყენება უკანასკნელ შემთხვევაში უხერხულია.

ამ შემთხვევაში გამოყენებულია -**თქო** და -**ი** ნაწილაკები. -**თქო** ნაწილაკია გამოყენებული შემდეგ მაგალითებში:

როგორც ვუთხარი—მეფეთან უნდა წაშოხვიდე-**თქო**, იმავ წამს დაგვეთანხმე  
(**ს. ლორთქ.**).

თანაც დავსქენდი, რომ შესაძლოა მთავრის წყებაში კოლოფანტის ძარღვები და კონკრეტები სხვაგანაც იქნეს აღმოჩენილი-**თქო** („საქართვე. მეცნ. აკადემიის მოამბე“).

სალიტერატურო ენის ტრადიცია უფრო -**ი** ნაწილაკის გამოყენებას უჭერს მხარს. ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს:

ვთქვით, თუ: მზეაო ქვეყანად, ნუ ვეუბნებით ცად ნით“ (205).

„რუსუდანიანში“ ასეთი მაგალითები ჩვეულებრივია:

ხოსროს ვუთხარი: მავ მონამ დავიწუნაო, ისინი რაღას გაქნევნაო.

ვსვამდი და შევეცეოდით, ვამბობდი: ავს კაცს ბევრი კაი შესაქცევი ჰქონიაო.

ზემოთქმულის საფუძველზე სხვათა სიტყვის გამოყენებასა და მართლწერაში ერთგვარობის დამყარების მიზნით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. პარალელური ფორმებისაგან -**თქო** და -**თქვა** თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დატოვებულ იქნეს მხოლოდ ერთი ფორმა—**თქო**.

2. -**მეთქი** ნაწილაკი გამოყენებულ იქნეს პირველი პირის (მოსაუბრის) წინათ ნათქვამის ან განაზრახვის განმეორებით გადმოსაცემად იმ შემთხვევაში, როცა პირველი პირი მხოლოდობით რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

3. იმ შემთხვევაში, როცა პირველი პირი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, მის მიერ წინათ ნათქვა-

მის ან განაზრახის განმეორებით გადმოსაცემად გამოყენებულ იქნეს -ო ნაწილაკი.

-ო ნაწილაკის გამოყენებას ამ შემთხვევისათვის მხარს უჭერს სალიტერატურო ენის ტრადიცია და აგრეთვე ისიც, რომ ხმარებულ ნაწილაკთან -ო ყველაზე უფრო ზოგადია (გამოყენებულია III და II პირის ნათქვამის გადმოსაცემად, კილოებში I პირის ნათქვამის გადმოსაცემად). ამასთან მისი ეტიმოლოგია აღარაა ნათელი, სავსებით ნაწილაკადაა ქცეული.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც I პირი თავის ნათქვამს აბარებს II პირს III პირისათვის გადასაცემად, გამოყენებულ იქნეს -თჟო ნაწილაკი. რიცხვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. ეგვევ ნაწილაკი იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაშიც, როცა პირველი პირი მეორე პირს ავალებს რაიმე უთხრას მასვე, პირველ პირს.

5. -ო ნაწილაკი გამოყენებულ იქნეს:

ა) III პირის ნათქვამის გადმოსაცემად.

ბ) II პირის ნათქვამის გადმოსაცემად.

რიცხვს არც ამ შემთხვევაში აქვს მნიშვნელობა.

6. -ო ნაწილაკი დაიწეროს წინადადების წევრთან ერთად, შერწყმულად, -მეთჟი და -თჟო ნაწილაკები გამოიყოს წინადადების წევრისაგან დეფისით.

7. მარტივ წინადადებაში ნაწილაკიანი წევრი ჩვეულებრივ ბოლოში დაისვას. სხვა ადგილას ნაწილაკიანი წევრის დასმა შესაძლებლად იქნეს მიჩნეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ზმნაა.

8. არ იქნეს შეზღუდული ნაწილაკიან წევრთა რაოდენობა წინადადებაში (განსაკუთრებით ერთგვარწევრებიანსა და რთულ წინადადებებში). ნაწილაკიან წევრთა რაოდენობა განისაზღვროს სტილისტიკური საჭიროების მიხედვით.

9. -მეთჟი, -თჟო და -ო ნაწილაკებიანი სხვათა სიტყვა ბრტყალეებში არ ჩაისვას.